# სახალხო გაზეთი

№ 454 პარასკევი, 18 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 454

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცელ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

წლის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

**დ. ყვირილაში**

„სორაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

**„სახალხო გაზეთი"**

სურათებიანი დამატებით

1 გიორგობისთვიდან წლის ბოლომდე

**ღირს 1 მან. 60 კაპ.**

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . . **80 კაპ.**

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (п. я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

**სახაზინო თეატრი**

კვირას, 20 ნოემბერს, მოხდება „ცოცხალი გვამის" (ЖИВОЙ ТРУПЪ) სალიტერატურო

**გასამართლება**

ლ. ნ. ტოლსტოის პიესიდან.

მსაჯულნი (прокуроръ) იქნებიან ბბ. ქალთა უმაღლეს კურს. ბის მაგისტრი სპილიოტი და გიმნაზიის მასწავლებელი როზოვი. დაიცავს ნ. კოზლოვი და არტისტი სმოლენსკი, უკანასკნელი გამოვა თვით პროტასოვის როლში და თავის გასამართლებლად წარმოსთქვამს სიტყვას გასამართლების თავმჯდომ. ბ. პალმოვი. ნაფიც ვექილებად გამოვლენ ქ-ნი რომანიშვილი, გრაბოვსკაია, ბბ. ყურული, არგუტინსკი-დოლგორუკოვი, კოკჩაევი, ათანასიანი, გულისოვი, დუბროვინი, ემანუელოვი, კოლუბიაკინი, კროტკოვი, ლებანი, სარქისოვი და დუბანოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთები იყიდება დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—10 საათამდე.

(5—1592—1)

კვირას, 20 ნოემბერს ზუბალოვშვილების სახალხო სახლში სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების წლის თავზე გამართავს

**სალიტერატურო და სამუსიკო დილას**

მონაწილეობენ: ქ-ნნი ო. მ. მაისურიანცი, ე. ნ. ხუციშვილი, ა. გ. შჩერბაჩოვა და ნ. ნ. კარაზანოვისა; ბ-ნნი: ლ. კ. ტარასევიჩი, ი. ფ. პალმოვი, ბ. ლ. ფედოროვენკო, ი. ა. ილინსკი, მ. კ. იდზიკოვსკი, კ. ა. კაზლოვი, რ. ი. პრავიკოვი და ა. ი. ინამვი. დასაწყისი დილის 11 საათზე. ბილეთები 5 კ.-დან 10 კ.-მდე.

**საბურთალოზე** მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—177

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირალოვისა ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

ვეზდევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., $10^1/_2$—11 ს.

ქავთარაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბ.ბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ.,

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე, 1—$1^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

თრემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფარადოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სობოლევსკი გ. მ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულავოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სნ. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეიძლება. სადასტურით. (ლ. 1089 611)

**ექიმი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—28)

**ექიმი ჰ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.17)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N [illegible] სახლი გაბაშვილისა. [illegible]

**ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი** შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 86, ტელეფონი 388. 25—1442—75

**ექიმი ნ. ტ. მულიძე** ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—27)

**„სორაპანის" გამოცემა.**

**დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ**

**კედლის კალენდარი 1912 წლისა,**

შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.

კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. კალენდრის კარდონი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირი ფერადის სადებავებით ლიტოგრაფიაში სუფთად და ლამაზად შეკრულია თუნუქით, რომ ახევის დროს არ დაიხნეს. ◆ ფასი კი ისევ ძველებურია 40 კაპ. ◆ პარტიობით მყიდველებს დაუთმობათ პროცენტები. ადრესი: Тифлисъ. Типографія „Сорапань", М. Гачечиладзе.

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ „სახალხო კალენდარი" მ. გაჩეჩილაძის შედგენილი. (20.1594.1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795

☆ ნინო დავითაშვილის ბენეფისი ☆

ორშაბათს, 21 ნოემბერს,

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ცნობილი პიესა ალ. სუმბათაშვილისა **ღალატი.** ისტორ. ლეგენდა 5 მოქმედ. თარგმანი გრიგ. ყიფშიძისა.

უმთავრესს როლებს შეასრულებენ სულეიმანისას—ვ. ალ.-მესხიშვილი, ზეინაბისას—მოსენცოვი, ანანიასას—კ. მესხი, ოთარ-ბეგისას—ვ. გუნია.

მონაწილეობას მიიღებენ; ქ-ნნი ამირაჯიბი, დავითაშვილი, კარგარეთელი, პიერატა, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, არადელი-იმნაძე ... ბედიაშვილი, ბერიშვილი, გუნია. მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, შათირიშვილი-სარაული.

დასაწყ. საღამოს 8 ს. ადგილების ფასი საბენეფისოა.

რეჟის. ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია. (2.938.1)

**ახალი კლუბი**

შაბათს, 19 ნოემბერს,

**ჩვეულებრივი საოჯახო საღამო**

ქართულ თეატრის სცენაზე: **მშვენიერი გალატეია,**

ოპერეტკა 2 მოქ., მუს. ზუპპესი. ● ქ-ნნი: ნ. ა. პრესინსკაია, ს. მ. მიხაილოვასი, ბ.ბ. გ. ლ. მჟავანოვ-მანინის და გ. გ. ვალერიანოვის მონაწილეობით. დასაწყ. საღ. 9 ს. ორკესტრში 30 კაცია. გალერეია ყველასთვის ხელმისაწვდომია. კლუბში შესასვლელ ფასის გადაუხდელად, ადგილების ფასი გალერეიაში 20—10 კ. ადგილების ფასი თეატრში 1 მ. 20 კ.-დე. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელად: კაცი 1 მ., ლიქა 50 კ., სტუდენტი 25 კ. ანონსი: სამშაბ., 22 ნოემბ., „დემონი", ოპ. რუბინშტეინისა (2 აქტი), და „სცენა წერილით", ოპ. „ევგენი ონეგინი", ი. პ. სარაჯიშვილისა და მ. გ. მინკევიჩის მონაწილეობით. (2—1583—1)

**ვაკზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გამსახურდია—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

მ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციებით და კონსილიუმი მოწოდებით

**წამლობა „606"-ით.** (წ.—1090—215)

**დოქტორი მედიცინისა**

**ი. ე. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადედაკაცო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათა ავადმყოფების, საქალწულო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კიროჩნის ქ. სახ. N 18, თავ. გაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—1591—45)

**ექიმი ს. დიდიძის**

მაგივრად მის კაბინეტში ღებულობს ავადმყოფებს

**ექიმი გ. ლოლობერიძე**

ყოველ-დღე საღამოობით 6—8 ს. ელისაბედის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფაციდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—1)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

**ექიმი** ქბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ელექტრონისა და რენტგენის

**სამკურნალო**

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—58)

**ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის**

**კრებული**

აუწყებს ამა ეკლესიის მრევლს, რომ კვირას, გიორგობისთვის 20-ს, წირვის შემდეგ, დანიშნულია

**მნათის არჩევანი.**

(3—937—1)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანოშვილისა.

**ექიმი ე. ი. მინასიანცი.**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—41)

**ექიმი ე. მაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12. (…—37)

## ტფილისი, 18 ნოემბერი

**მრევლის საარჩევნო უფლება.**

რუსეთში დღეს ორი მიმდინარეობა იბრძვის. ერთსა ჰსურს ძველი ტრადიციები აღადგინოს და ყოველ-გვარი მნიშვნელობა დაუკარგოს 17 ოქტომბრის მანიფესტს. მეორე მიმდინარეობასა ჰსურს განახორციელოს ის თავისუფლებანი, რომელნიც ამ მანიფესტით არის დაპირებული. ნორმალურ პირობებში რომ მიმდინარეობდეს რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარება, განხორციელება იმისა, რაც დაპირებულია უმაღლესის მანიფესტით, ძნელი არ უნდა იყოს; მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარება ნორმალურ პირობებში არა სწარმოებს. ამ განვითარებას წინ ეღობება ათასგვარი დაბრკოლება, რომელთა გადალახვაც რუსეთის საზოგადოების პროგრესიულ ნაწილისათვის შეუძლებელი ხდება. რეაქციონური მიმდინარეობა კი თანდათან ფეხს იმაგრებს და სპობს ყველაფერს, რასაც კი განმანთავისუფლებელი ხანის ბეჭედი აზის. ამ ხანაში მოპოვებულ უფლებათა ლიკვიდაცია ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. ტყუილი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დღევანდელი ხანა სალიკვიდაციო ხანაა.

ჩვენში განმანთავისუფლებელი მოძრაობა არავითარ განსაკუთრებულ ცვლილებებით არ აღბეჭდილა. არავითარი ისეთი რეფორმა არ მოუხდენიათ, რის გაუქმებაც, მდგომარეობის შეცვლის შემდეგ, კავკასიის უმაღლეს მთავრობას საჭიროდ დაენახოს. ამისთანა პირობებში ის ცვლილება, რომელიც სასულიერო უწყებაში მოხდა, თვალ-საჩინო ცვლილებად უნდა ჩაითვალოს. მღვდლების საარჩევნო უფლებაზე მოგახსენებთ. წმინდა იდეიური მოძრაობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად გამოისახა იმ ინსტიტუტში, რომელზედაც ვლაპარაკობთ. უწმინდესმა სინოდმა, თანახმად განსვენებულის ეგზარხოსის ნიკონის სურვილისა, ქართველ სამღვდელოებას მიანიჭა საარჩევნო სისტემა. რამდენად საკმაოდ და თვალსაჩინოდ გამოისახა ქართველ სამღვდელოების სურვილი ამ ინსტიტუტში, ამაზე არაფერს ვიტყვით, რადგანაც ჩვენ დღევანდელ წერილის მიზანს ეს არ შეადგენს. ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ ნიკონის მიერ წარდგენილ და უწ. სინოდის მიერ დამტკიცებულ ინსტიტუტზე, როგორც უკვე მომხდარ ფაქტზე.

გუშინდელ გაზეთიდან მკითხველები გაიგებდნენ, რომ ეგზარხოსს ინოკენტის სინოდისთვის წარუდგენია პროექტი ამ ინსტიტუტის გაუქმების შესახებ. ამ რიგად ეგზარხოსსა ჰსურს მოსპოს წესები, რომლებიც მისმა წინაპარმა შემოიღო და რომელიც უწმინდეს სინოდის მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ იქმნა. არ ვიცით, რამდენად მართალია ის ცნობა, რომელსაც „რუსკოე სლოვო" გვაწვდის, მაგრამ, რადგანაც თვით ქართველ სამღვდელოებაშიაც მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც ამ აზრს თანაუგრძნობენ, ურიგო არ იქნება ამ პროექტის შესახებ აზრთა გაზიარება.

როდესაც უწმინდესი სინოდი ზემოხსენებულ ინსტიტუტს იწონებდა, ალბათ ჰქონდა რაიმე მოსაზრებანი, ალბათ იგი დარწმუნებული იყო, რომ ასეთი ცვლილება სასარგებლოა საეკლესიო საკითხების მოსაწესრიგებლად ჩვენში. დღეს, როდესაც ეგზარხოსი ინოკენტი ამ ინსტიტუტის გაუქმებას მოითხოვს, რაიმე ახალი მოსაზრებით უნდა ხელმძღვანელობდეს. ეს მოსაზრებანი დამყარებული უნდა იყოს საკითხის დაწვრილებით შესწავლასა და გაცნობაზე. საუბედუროდ, ეს ინსტიტუტი ისე ცოტა-ხანია რაც არსებობს, რომ შეუძლებელია გამორკვევა იმისა, თუ რამდენად სასარგებლოა ან მავნებელია იგი. მხოლოდ მაშინ, როდესაც საარჩევნო სისტემა ღრმად გაიდგამს ფესვებს ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც ამ სისტემას ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულ პირობებს შეუფარდებენ, — მხოლოდ მაშინ მოხერხდება საჭირო მასალის შეკრება და გამორკვევა იმისა, თუ რამდენად სასარგებლო ინსტიტუტია იგი. სხვაფრივ კი ჩვენი მსჯელობა აპრიორული და დაუსაბუთებელი იქნება.

ხშირად საარჩევნო ინსტიტუტის მოწინააღმდეგეთ ის მოსაზრება მოჰყავთ ხოლმე, რომ იმის წყალობით ბევრი გაუნათლებელი და შეუფერებელი მღვდელი აურჩევია სოფელსაო. თუ ეს მართალია, საჭიროა არა თვით ინსტიტუტის გაუქმება, არამედ მოწესრიგება საარჩევნო სისტემისა. ხშირად იმასაც ამბობენ, მღვდელს ჩვეულებრივად ირჩევს არა მრევლი, არამედ სოფლის რამდენიმე გავლენიანი პირი, რომელსაც მთელი სოფელი ხელში უჭირავს. ესეც არ შეიძლება საბუთად ჩაითვალოს. შეიძლება ზოგიერთს ადგილებში ასე ჰხდებოდეს, მაგრამ კერძო შემთხვევა არ შეიძლება საზოგადო მოვლენად ჩაითვალოს თუ სახელმძღვანელო პრინციპად ვაღიარებთ, რომ ბოროტება საზოგადო მოვლენაა, ცხოვრებაც შეუძლებელი გახდებოდა. პირიქით, საზოგადო მოვლენად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მრევლი მავნე პირს თავის სულიერ მოძღვრად არ აირჩევს. მავნე მოძღვარი ძალით შეუძლიანთ მოახვიონ კისერზე, მაგრამ თავის ნებით ადამიანი მავნე პირს ბატონად და მათ უფრო სულიერ მამად არ მოიწვევს. რა თქმა უნდა, კერძო შემთხვევებში მოსალოდნელია ბოროტად სარგებლობა საარჩევნო სისტემისა, მაგრამ ამ კერძო შემთხვევების მიზეზით გაუქმება მთელი სისტემისა ყოვლად შეუძლებელია. ბოროტ-მოქმედება ყველა დაწესებულებაშია მოსალოდნელი, მაგრამ ამისთვის თვით დაწესებულებას არავინ აუქმებს.

ცხოვრებასა და პრაქტიკას ჯერ არ დაუნახვებია, რომ საარჩევნო სისტემა მავნე ინსტიტუტია. თუ, მიუხედავად ამისა, ეგზარხოსს მაინცა ჰსურს ლიკვიდაცია ახლად შემოღებულ წესისა, ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ დღევანდელ პირობებში ნაკლებად ხერხდება პირადი ზედ-გავლენა— მღვდლებზე. ასეთი წესი უკვე გამოსცა სამღვდელოებამ იმ დროს, როდესაც ჩვენში ვოსტორგოვი ჰბატონობდა. ეგზარხოსი, თვით იმ მდგომარეობის წყალობით, რომელიც უკავია, ფიზიკურ საშუალებას იქნება მოკლებული, პირადად ადევნოს თვალყური მღვდლების მოქმედებას. რაც უნდა კეთილი განზრახვით იყოს გატაცებული ეგზარხოსი, ბევრი რამ ხელს შეუშლის ამ კეთილ განზრახვათა ასრულებას. ეგზარხოსისა და სამღვდელოების შორის შუამავლად გაჩნდებიან ზნეობა-დაცემული პოლიტიკანები, რომელნიც წყალს ამღვრევენ, რათა ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ. ასეთი წესი უნდა გადაიქცეს უკმაყოფილებისა და ერთმანეთის გაუგებრობის დაუშრეტელ წყაროდ. ვისთვის იქნება სასარგებლო ასეთი გაუგებრობა და უკმაყოფილება, თუ არა იმ პოლიტიკანებისთვის, რომელთაც იმდენად საეკლესიო საკითხის მოწესრიგება არ აინტერესებს, რამდენადაც პირადი ანგარიშები?

საარჩევნო ინსტიტუტი ჩვენში უკვე მოქმედებს, იგი მოწონებული და დამტკიცებულია უწმინდესის სინოდის მიერ და მის გასაუქმებლად საფუძვლიანი საბუთებია საჭირო. თუ ამ ინსტიტუტს რაიმე ნაკლი ემჩნევა, საჭიროა ამ ნაკლის თავიდან აცილება და არა მოსპობა თვით ინსტიტუტისა, რომელიც თან და თან ფესვებს იდგამს ჩვენს ცხოვრებაში...

# სახელმწიფო სათათბირო

დ ე პ ე შ ე ბ ი

**გოლოვინსკი თავმჯდომარეობს.**

**შინგარიოვი.** 11 ნოემბრის სიტყვის წარმოთქმის დროს შეცდომა მომივიდა. საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენელნი დიდხანს არ უცდიდნენ მთავრობის წარმომადგენელის ნახვას. მაგრამ, სამწუხაროდ, არ შევცდები, როცა ვსთქვი, საქველმოქმედო ორგანიზაციებს აუკრძალეს შიმშილის საქმეში მონაწილეობის მიღება მეთქი. შემდეგ შინგარიოვს სათათბიროს სამარის გუბერნიიდან გამოგზავნილ პურს უჩვენებს. აი, რითი ჰკვებენ ხალხსაო. იგი მიწას უფრო ჰგავს, ვიდრე პურსა, გთხოვთ მოსავლის კომისიას გადასცეთ ეგ ნიმუშიო.

განსახილველია ლოთობასთან საბრძოლველად შემუშავებული კანონ-პროექტი. კანონ-პროექტი ცოტაოდენის ცვლილებით მიიღეს.

**როძიანკო თავმჯდომარეობს.** მიიღეს კომისიის ფორმულა ჩხეიძის შესწორებით), რითაც ლოთი ადამიანი უნდა იდევნებოდეს და ფხიზელს კი ყოველი უპირატესობა მიენიჭოს. შემდეგ, თითქმის, უკამათოდ მიიღეს სამი უმნიშვნელო კანონ-პროექტი.

საღამოს სხდომას როძიანკო თავმჯდომარეობს. მინისტრთა ლოჟაში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და სხვა მინისტრები სხედან.

შემოიტანეს 60 კაცისაგან ხელმოწერილი შეკითხვა იუსტიციის მინისტრისადმი.

**მაკლაკოვი და გეგეჭკორი** თხოულობენ: გუშინ სათათბირომ წესდების მუხლი დაარღვია, ეხლა მაინც განიხილეთ სოც.-დემ. შემოტანილი შეკითხვაო. თუ ამას არ იზამთ, ხალხი თითონ მიჰხვდება შეკითხვის სრულ სიმართლესაო. წინადადება 11 საათამდე ამ შეკითხვის განხილვის თაობაზე უარჰყვეს.

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე** უპასუხებს სტოლიპინის მოკვლის თაობაზე შემკითხველთ: ორი სხვა და სხვა შეკითხვა წარმოადგინეს: სოც.-დემ. პროვოკაციის მოწყობას გვაბრალებენ. ეს არ ახალია, ძველია. ბაგროვი პროვოკატორი კი არა, გამცემი იყო და განა რევოლუციონერებმა არ აიძულეს იგი მკვლელობა ჩაედინა? პირველ სექტემბრის ამბავს პროვოკაციასთან სრულიად არა აქვს-რა საერთო. შემკითხველნიც ალბად ჰგრძნობდნენ ამას და ამიტომ სხვათა მკვლელობაც დაასახელეს შეკითხვაში. არალეგალურ ლიტერატურაში გამოაცხადეს და გამოამჟღავნეს აზეფის მოღვაწეობა, მაგრამ ისინი პარტიის კაცებისაგან არის გამოგონილი და რესპუბლიკის მომთხოვნელთ თავის დღეში ჩვენთან საერთო არა ექნებათ რა (ცენტრი და მემარჯვენენი ტაშს უკრავენ). არ დავმალავ, ისინი რუსეთის მტრებად მიმაჩნია და ვცდილობ კიდეც მათგან რუსეთის განთავისუფლებას (მემარჯვენეთა ტაში).

ნაციონალისტებისა და ოქტომბრისტების შეკითხვის პასუხის გაცემა უფრო ძნელია. მე მგონია, თეატრში მკვლელი მთავრობის აგენტმა შეუშვა. ყოველი ღონე ვიხმარეთ და ჭეშმარიტების გამორკვევას ვცდილობთ: ამას ჰმოწმობს ტრუსევიჩის რევიზიაც. ყველა დამნაშავენი დაისჯებიან. სამწუხაროდ, არ შემიძლიან დამცველ პოლიციის განზრახული რეფორმა განვიმარტოთ, მაგრამ მეორედ ვგმობ პროვოკაციას. ყოველ ზომას მივიღებ, რომ საიდუმლო აგენტებმა მაძებარ პოლიციის ორგანიზაციისა არაფერი იცოდნენ და არც სარევოლუციო მოქმედების ნებას მივცემ. ამაში ყველა დამეთანხმება. ვისაც კი რევოლუციონერებთან ბრძოლა საჭიროდ მიაჩნია და ვისაც მეფის ერთგულება და ქვეყნის სიყვარული აქვს.

**გუჩკოვი.** პირველ სექტემბრის ამბავმა პოლიციის რეფორმის საჭიროება წამოაყენა. თუ მთავრობა ვერ გაჰბედავს პირუთვნელ მოქმედებას და დამნაშავეებს მხოლოდ დაითხოვს, პატარა პენსიასაც დაუნიშნავს, დათხოვნილნი იძულებულნი ჰყოფენ მას, უფრო მეტი მისცეს და საქმესაც გააფუჭებენ შანტაჟით. მეორე გზა ხსნისა—დამნაშავეთა სასტიკი დასჯაა და საპოლიტიკო პოლიციის გენერალ გუბერნატორისა და ბრალმდებლის დამორჩილებაა, ეს გზა გამარჯვებას გვარგუნებს და მთავრობამაც უნდა გაჰბედოს ამ ნაბიჯის გადადგმა.

**გრაფი ბობრინსკი** მე-2 ოქტომბრისტების ფორმულას უერთდება ნაციონალისტების სახელით.

**თ-დი შერვაშიძე** დამცველ პოლიციის ძირიანად განახლებას მოითხოვს.

**ბულატი.** პრემიერ-მინისტრმა 1 სექტემბრის მკვლელობა მხოლოდ ერთ უმნიშვნელო ცირკულიარის დარღვევად მიიჩნიაო. სტოლიპინი პოლიციის აგენტმა მოჰკლა და, სოციალისტების გაზეთების აზრით, სოციალისტებს ამ მკვლელობასთან კავშირი არა აქვთ რა. სათათბიროს გაკვირვება შეუძლიან გამოიწვიოს მხოლოდ მინისტრის სიტყვამაო.

**როდიჩევი.** აზეფის შეკითხვის ისტორია განმეორდა. მაშინ ამბობდნენ—სასამართლო გამოარკვევსო, ეხლაც ამას ამბობენ. სასამართლომ რა უნდა გამოარკვიოს? მთავრობასა ჰსურს ყოველივე ძველებურად იყოს. ეს ყველაფერი კი ცენტრის ბრალია, რომელმაც აზეფის თაობაზე შეკითხვა მიჩქმალა.

**თავმჯდომარე.** გუშინდელ შეკითხვასთან, სათათბირომ რომ საიდუმლო სხდომაზე გაარჩია, კიდევ შემოიტანეს და სხდომა საიდუმლოდ უნდა გამოვაცხადო.

სხდომა საიდუმლოდ განაგრძეს.

შემდეგი სხდომა პარასკევს იქნება.

# სახელმწიფო საბჭო

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.**

სარწმუნოების გამოცვლის კანონ-პროექტის განხილვას განაგრძობენ.

უარჰყვეს სტიშინსკის წინადადება, მართლმადიდებლობის მიმტოვებელთ უფლებანი წაერთვათო.

მესამე მუხლში **დურნოვოსა და ოლსუფიევს** შეაქვთ შესწორება, რითაც იმ ბავშვებს, რომელთაც დედმამა არა ქრისტიანი ჰყავთ, 14 წლამდეც უნდა შეეძლოთ ქრისტიანობის მიღება, თუნდა მშობლები წინააღმდეგნიც იყვნენ. მიიღეს დებულება, რომ 14 წლისაზე პატარებს მხოლოდ დედ-მამის ნებართვით შეუძლიანთ მართლმადიდებლობის მიღება. შემდეგ კანონ-პროექტი საბჭოს კომისიის რედაქციით მიიღეს. რადგანაც საბჭოისა და სათათბიროს კანონ პროექტს შორის დიდი განსხვავებაა, კანონ-პროექტი უნდა გადაეცეს 14 კაცისაგან შემდგარ კომისიას.

განსაკუთრებულ კომისიის რედაქციით მიიღეს დასახლებისა და სახლების აგების უფლების კანონ-პროექტი.

შემდეგი სხდომა 18 ნოემბერს იქნება.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

◆ **საქართველოს ეპარქიის სასკოლო საბჭომ** დაადგინა, სოფ. მატანში (თიანეთის მაზრა) სამრევლო სკოლასთან სახელოსნო განყოფილება გახსნას. მასწავლებლის მოსაწვევად 360 მან. გადაიდო წელიწადში, ხოლო 100 მან. სხვა და სხვა მასალისა და იარაღის შესაძენად.

◆ **სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორასთან** არსდება მუდმივი თანამდებობა იურისკონსულტისა.

◆ **ნავთი ტფ. მაზრაში.** ამას წინად ვწერდით, სოფ. მარტყოფში ნავთის ნიშნები აღმოჩნდაო. გუშინ სპეციალისტთა ჯგუფი ნავთიან ადგილების გამოსაკვლევად სოფ. ნორიოში გაემგზავრა.

◆ **ქართლ-კახეთის სახინადო კანტორის** იმერეთის განყოფილების მდივნად უწმ. სინოდმა სერგო წერეთელი დაამტკიცა, ხოლო საქმის მწარმოებლად—ლომაური და მ. მონასელიძე.

◆ **საარჩევნო უფლების გაუქმება.** გუშინ უკვე გვქონდა პატარა ცნობა საქართველოს ეგზარხოსის პეტერბურგში ჩასვლის თაობაზე. ეხლა გაზ. „კასპი" დეპეშით ატყობინებენ: ეგზარხოსის თაოსნობით სინოდი განიხილავს საქართველოს საეგზარხოსოში სამღვდლო პირთა მრევლის მიერ საარჩევნო უფლების გაუქმების საკითხს. თვით ეგზარხოსი მომხრეა გაუქმებისა, ვინაიდან მისის აზრით, არჩევნებს თან სდევს ხოლმე ეროვნული ბრძოლა და პარტიათა შუღლი, რაიცა ამისთანა საქმეში შეუწყნარებელიაო. ამბობენ, სინოდი ამ აზრს შეიწყნარებსო.

◆ **ფარულად აშენებული სახლები.** მამადავითსა და სოლოლაკის მთის ფერდობებზე ბევრმა ააშენა სახლები საქალაქო და სახაზინო მიწებზე. ქალაქის გამგეობა ამ ჟამად ფარულად აშენებულ სახლების რაოდენობის გამორკვევას შეუდგა. ამ აზრით გამგეობამ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს სთხოვა, გამოუგზავნოს სოლოლაკისა და მამადავითის მთის ფერდობებზე მდებარე სახაზინო მიწების გეგმა.

◆ **ქართულმა სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს ახმეტის საზოგადოებამ (თიანეთის მაზრა) სთხოვა, დახმარება აღმოუჩინოს სხვა და სხვა სამეურნეო იარაღის არჩევასა და შეძენაში.

◆ **საარჩევნო აგიტაცია** ქალაქის გამგეობის სადგომში აკრძალულია თანახმად ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის განკარგულებისა. ამის და მიუხედავად „ახალ ჯგუფი"-ს ამომრჩევლებმა გუშინ თავი მოიყარეს გამგეობის სადგომში და აურზაურიანი აგიტაცია დაიწყეს, რის გამოც გამგეობის მოსამსახურენი იძულებულნი გახდნენ, ისინი გამგეობის სადგომიდან დაეთხოვნათ.

◆ **„ყურბან-ბაირამი"** მაჰმადიანთა დღესასწაულისა გამო გუშინ ტფილისში დაკეტილი იყო მაჰმადიანთა ყველა საზოგადო დაწესებულება. დაკეტილი იქნება აგრეთვე დღესა და ხვალ, 19 ნოემბერს.

◆ **ბათომის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი მდივანი და ფოთის ქალაქის მოურავი ნ. ნიკოლაძე,** რომელნიც ამ ჟამად ტფილისში არიან, დღეს, საღამოს, პეტერბურგს მიემგზავრებიან სამსახურის საქმეთა გამო.

◆ **ქალაქის სასანიტარო ხამკურნალო ინსპექტორი გ. ნ. ხტეფანოვი** საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

◆ 16 ნოემბერს ტფილისში 7 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ 12 ნოემბერს გაგზდის ქუჩაზე მამასახლისი ნოდოსოლკოვნიკი ალექსანდრე ადამოვიჩი რუზე გადებულ ხიდიდან რუში ჩავარდა და თავი დაუშავდა. ადამოვიჩი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც გარდაიცვალა.

## საზოგადოებანი და კრებები.

◆ **კავკასიის საიუბილეო საზოგადოების** წლიური კრება 19 ნოემბერს მოხდება ოლქის სასამართლოს პირველ განყოფილების დარბაზში. კრება, სხვათა შორის, საზოგადოების მოღვაწეობის ანგარიშსა და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვას განიხილავს და თანამდებობის პირთ აირჩევს.

◆ **ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების** კრება ხვალ, 19 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე მოხდება საამბრეშუმო სადგურის კანცელარიის სადგომში. კრება, სხვათა შორის, განიხილავს საკითხს მომავალ აღდგომის კვირაში სამის დღით ფრინველთა გამოფენის მოწყობის შესახებ.

## სასწავლებლებში

◆ **საღამოს კურსები სახელოსნო სასწავლებელთან.** ქალაქის გამგეობამ მოიწონა პროექტი სახელოსნო სასწავლებელთან ხელოსანთა შეგირდებისთვის სამწლიან საღამოს კურსების დაარსების შესახებ. პროექტი დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს წარედგინება. კურსების დაარსება ახლავე განზრახული.

## თელავი

◆ ქ. შ. წ. კ. ს. გამავრ. საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობამ გარდაცვლილ თელავის მოქალაქის **იოსებ აბრამის ძის იარალოვის** მემკვიდრეებისაგან მიიღო 100 მანეთი, რომელიც განსვენებულმა ანდერძით შესწირა საზოგადოების სკოლას.

შემოწირულება თავის დროზე მოახსენდა გამგეობას, რომელმაც ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და დასაფლავებას დაესწრო.

## ქ უ თ ა ი ს ი

◆ **ბ-ნ ხატისოვის** მიერ წაკითხულ ლექციის შემოსავალი 450 მ. გადაეცა ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოებას.

◆ ქუთაისის სათავად-აზნაურო-მამულო ბანკის **არაჩვეულებრივი კრება** დანიშნულია 15 იანვრისათვის იმ კითხვების **განსახილველად,** რომელიც მოთავსებულია 34 რწმუნებულთა განცხადებაში.

## სომხეთა ცხოვრება

◆ **ეჩმიაძინის ბიბლიოთეკის** შენობა, რომლის ასაგებადაც ფული შესწირა ცნობილმა მდიდარმა ავ. იუზბაშიანცმა, უკვე დამთავრებულ იქმნა. ბიბლიოთეკას აკურთ-

# მგზავრის შენიშვნები
## (თეძმის ხეობიდან)

თითონ ერთა-წმინდა გაშენებულია მაღლობ ადგილას, საიდანაც გადაჰყურებთ ხეობის ბარის სოფლებს, მტკვარს, მის გაღმა აშურიანის მინდორს და აშურიანის მთაგრეხილს; გაჰყურებთ პირდაპირ წმ. გრიგოლის მთას, სამება-ოქროკარიანის მთას (დუშეთისაკენ); უფრო ზევით და ჩრდილოეთისაკენ შავად მიიკლაკვნის ჰორიზონტზე კავკასიონის ქედი. საიდანაც მოსჩანან მყინვარი და ბეშტაუ. მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს მეტადრე მყინვარი დილით მზის ამოსვლაზე, როდესაც პირველი ალერსი და კოცნა მზის სხივებისა მყინვარს ხვდება. მაშინ იგი თავს იდგამს ოქროს გვირგვინს და გამოჰკრთის მოწმენდილს ცის სივრცეში მოელვარე და თეთრად მოკაშკაშე. თვალს გტაცებთ ბუნების სიტურფე; გული გევსებათ მრავალსიამეთა და მშვენიერებათაგან ბუნების სიდიადეზე ფიქრებით გართულს; სდგეხართ უძრავად და თან დილის ნიავი დაგსისინებთ. გინდათ უყუროთ ისე, მაგრამ ხანი აღარ გაცლით: რაც მზე თანდათან მაღლა იწევს და თანაბრივ ეფინება ქვეყანას, მყინვარის ელვარებაც მასთან კრთება და უერთდება დღის ნათელს; ძირიდან მძიმე-მძიმედ ეპარება ნისლი; თავზე იგდებს ბურუსის პირბადეს და ჩქარა სულ მთლად ღრუბლებში ეხვევა.

აი, რა ფართე და წარმტაცი სარბიელი აქვს თქვენ თვალს, როცა გაიყურებით ჩრდილოეთისაკენ. აღმოსავლეთით სოფელს ჩამოუდის ცხერთის ხევი, რომელიც გაჰყოფს ერთა-წმინდის მიდგმას კოტა-კდეტის ხევის მიდგმისაგან და დასავლეთით—თვით თეძმის ხევი. სამხრეთიდან მას ასწორია თრიალეთის კალთები პატარა დაბა, სატადარ, მეჯვრის, ქსოვრისი და სხვები, რომელნიც ჰყოფენ გორის მაზრას ტფილისისაგან—საზღვარზე ქსილისია. ცივი კამკამა წყაროები, მთის გრილი ჰავა და ტყეების სიახლოვე ჰხდიან ერთა-წმინდას მშვენიერ საყოფელად ზაფხულში.

ეხლა რამდენიმე სიტყვა ხეობის მთის ნაწილში გაფანტულს კულტურულ სიძველეთა შესახებ. დავიწყოთ ჯერ ერთა-წმინდიდან.

**ერთა-წმინდის ეკლესია.**

ერთა-წმინდა შესანიშნავია თავის ეკლესიით, რომელიც აგებულია წმ. ევსტათი პლაკიდის სახად მეათე საუკუნემდის. გარედან ეკლესია ირგვლივ 90 არშინია; შიგნით სიგძე 27 არშინი; სიგანე 17 არშინი; სიმაღლე გუმბათის თავამდე 25 საჟ. ხალხში ღრმა რწმენაა გავრცელებული, რომ ერთა-წმინდის, მეტეხის და სამთავისის ეკლესიები ერთ ხანაშია აშენებული და ერთის ხელოსნის ზედამხედველობის ქვეშ. ხელოვნების მხრივ დასახელებული ეკლესია უნდა ითვლებოდეს საქართველოს ძველი ხუროთ-მოძღვრების ერთს საუკეთესო ნიმუშად. ძირითადი მისი მოყვანილობა წარმოადგენს მოგრძელო ოთხ-კუთხედს მიმართულს სიგრძით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ეკლესიას უწინ სამი კარი ჰქონია, რომელთაგან ერთი,—დაყოლილი ჩრდილოეთის კედელში, გაუქმებულია და ქვებით ამოუშენებიათ. ნაშენია იგი ალგეთის მოყვითალო ზოლებიან თლილი ქვით და გარედან საუცხოვოდ არის მოჩუქურთმული. კარებებსა, ფანჯრებსა და აღმოსავლეთის კედელში დაყოლილ „სამერცხლოების" პირის ქვები და თაღები სულ ჩუქურთმის არშიებით არის მოვლებული. ამისთანავე არშიები, მხოლოდ ორპირად, არტყია ირგვლივ ეკლესიას. ოთხივე კედლებზე ჩუქურთმითვე არის ამოჭრილი საჟენ-ნახევრის სიგრძის ჯვრები. თქვენს გაოცებას აორკეცებს ჩუქურთმის სხვა და სხვა მრავალ-გვარობა: ერთი წყება რომ რგოლის ჩუქურთმაა, მეორე ჯვრიანია, მესამე წნული და ამ რიგად არის აჭრელებული მთელი ჩუქურთმა. ვეცადე დამეთვალა რაოდენობა ჩუქურთმების სხვა და სხვაობისა, მაგრამ შეუიარაღებელი თვალით ვერა გავაწყე რა ეკლესიის სიმაღლესთან და ჩუქრთმების თვალ-მოსაჭრელ სიჭრელესთან[1]). ზემოთ ნახსენებ კედლის ჯვრებში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ჩრდილოეთის კედლის ჯვარი, რომლის ჩუქურთმის არშიები უფრო მეტს სიჭრელეს წარმოადგენს. საყურადღებოა აქვე აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება. ზოგ ადგილას ჩუქურთმის არშიები სწყდება და ნაცვლად მოყვითალო ქვებისა მოთეთრო და ზოგან მოლურჯო ქვება აქვს ჩამატებული კედელს. ამ ჩამატებულ ქვებზე ამჩნევთ ნაჩიჩნს და ნათხარ ადგილებს. მაგ., აღმოსავლეთის კედელზე ეს ნათლადა სჩანს. იქ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კუთხესთან დაყოლილია პატარა ფანჯარა, რომლის თაღის ერთი ნაწილი ძველია და ჩუქურთმიანი, მეორე-კი ახალი და უჩუქურთმო. ამ ახალ ნაწილზე ცდილან ძველის მინაგვარი ჩუქურთმები გამოეყვანათ, უთხრიათ, უჩიჩქნიათ, ვერას გამხდარან და თავი გაუნებებიათ. ერთის სიტყვით, რაც ძველია ეკლესიის კედლებზე ის საუცხოვო ხელოვნების გამომხატველია და რაც ახალი—შემდეგ ჩამატებული—უბრალო და სადაა. აქედან აშკარაა, რომ ეკლესიას სრული განახლება არ განუცდია და დიდ მის ნაწილს ჩვენამდის თავისი პირვანდელი სახით მოუღწევია. ეკლესიის სახურავი ღარიანი კრამიტისაა; გუმბათისა კი სხვანაირია: ჯერ ბამბა ნარევი დუღაბია დასხმული და მერე ზევიდან პრტყელი ფილაქნებია დალაგებული და ალბათ მთელი ეკლესიის სახურავიც ასეთი იქნებოდა უწინ.

დასავლეთის კედელზე ამჩნევთ შემურულს ადგილებს და ქვების ზედაპირი ზოგან აცლილია. ეს ნიშანია ცეცხლისა და მახვილის დროისა, ეს კვალია ამ ადგილას ურჯულოთა შემოსევისა. ამავე კედელს მიდგმული აქვს ნიში მთავარ-ანგელოზის სახელისა, რომელიც დღეს თუ ხვალ ჩამოწვება. ჩრდილოეთის კედლის ერთ-ერთს ქვაზე კითხულობთ შემდეგ წარწერას: „ქ: აქ ქეს ჳნც მეფე ირაკლი და რუსის ჯარი აწვ ოსმალი გაქცივა სამი ათასი თავი მოსჭრეს ლეკსა და ოსმალოს". (ზოგ ადგილის სიტყვები არ ამოიკითხვის). შიგნიდან ეკლესიის კედლები სადაა და თეთრად გალესილი; იატაკი მთლად საფლავების ქვებით არის მოკირწყლული. აქ საგვარეულო საძარხი ყოფილა გიორგი სააკაძის შთამომავლობისა—თარხან-მოურავი-შვილებისა. ჩრდილოეთის კედლის ძირზე, სამკვეთლოს შესავალში, საყურადღებოა ერთი საფლავის ქვა. ამ ადგილის შესახებ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის გავრცელებულია აზრი, რომ აქ უნდა ემარხოს გიორგი სააკაძის შვილი. ზოგნი ფიქრობენ, ვითომ თვით სააკაძე მარხია. ქვას წარწერა აქვს, მაგრამ გადასილავებულია და ზოგ ადგილას სულაც აღმოფხვრილი, რის გამოც ვერ წავუკითხიათ მიუხედავათ ბევრი ცდისა. ეკლესიის შუა გულზე აღმართულია ორი ოთხ-კუთხი სვეტები, რომლებზედაც დაყრდნობილია გუმბათი. უკანასკნელში დაყოლილია ოთახები, საცა ადიხართ „სალაროდან". კანკელი ხისაა, მაგრამ უძველეს დროში, ჩვენის აზრით, აქ კეთილი უნდა ყოფილიყოს. ეკლესიის ძველ ნივთთაგან შესანიშნავია ორი შევერცხლილი ბეჭდური სახარება, ორი ვერცხლის ჯვარი და სამ-კუთხედიანი ვერცხლის ფირფიტა, რომლებიც შემოწირულებას შეადგენენ. შემომწირველთა ვინაობას ვკითხულობთ შემდეგ წარწერებიდან.

1) წარწერა დიდ სახარებაზე: „ქ: ყოვლისა საქართველოს მეფე ირაკლიმ შემოგწირე სახარება ესე წმინდის ევსტათის ეკლესიას ერთა-წმინდას:. რათა მეოხ მექმნა თანა მეცხედრითა:. ჩემით დედოფლით დაროჯანითა. ძეებით და ასულითა:

ზედა მხედველი ამისა თარხან გიორგი წელსა ჩლპთ.."

2) წარწერა პატარა სახარებაზე: „ქ: საჩინოსა მთავარ მოწამეს დიდსა ევსტათის გიძღვნი წა ამას სახარებასა სასოებით დადიანის ასული საქართველოს დედუფალი დარეჯან მრავალ წელობად საქართველოს მეფის ირაკლისა და სიმრთელითა სულისა და ხორცითა ჩვენ და ძეთა და ასულთა ჩვენთა და საცველად". წარწერა წელიწადს არ უჩვენებს, მაგრამ ირაკლის მიერ შემოწირულ სახარებაზე ადრე უნდა იყვეს დედოფლის შემოწირულება, ვინაიდან მეფე ირაკლი წარწერაში იხსენიებს დედოფალს ცხედრათ.

3) წარწერა ვერცხლის ფირფიტაზე: „ვინაჲდგან ერთა ჩუენთა აქუნდათ უმეტეს სასოებაჲ დადებულ წისა და საკჳრველთ მოქმედისა ნაწილისა ევსტათისად მაგრა ცოდვისა და უკანონოებისა გამო წარტყუენა ამად ერთა სასოებისა წარუწყმედელობისათვის დავსდევ წასა ამას ეკლესიასა ნაწილი მისვე წისა ნაცულად უსრულოჲსა კერძოსა სრული ესე კერძო ყოვლად მე საქართუჱლოჲსა მეფესა ძემან და რუსეთისა სამხედროსა პოლკოვნიკმან ბატონის შვილმან დავით სახად სულისა და ხორცთა ჩემთა წელსა 1797".

4) წარწერა ერთს ვერცხლის ჯვარზე: „დიდ მოსასწაულე:. წმინდაო:. მოწამე:. ევსტატი საფარველი:. შენი:. მო მოჰფინე სულსა;

[1]) ი. მ. ბ. კარგარეთლის გადმოცემით ეკლესიის კედლებზე გამოყვანილია გოთურ 78-მდე სახის ჩუქურთმა. გრძელი და სრული აღწერა თეძმის ხეობის, მისი შესანიშნავი ადგილებით—ციხე-სიმაგრეებით და ხუროთმოძღვრებით, არის და სხვ. ჩვენ გადავდეთ მომავლისათვის უფრო ხელსაყრელ პირობების მოლოდინში.

სტ. ი. კარგარეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებენ იმ დროს, როდესაც ეჩმიაძინში თავს მოიყრიან სომეხთა დელეგატები, რომელთაც კათალიკოსი უნდა აირჩიონ.

## ქუთაისის ვითარება

ტფილისის ქალაქის თავს ქუთათურები არა ჩვეულებრივის პატივისცემით დახვდნენ. ოთხმოცზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი კლუბის დარბაზში. სტცა საპატიო სტუმრის პატივსაცემად ნადიმი იყო გამართული. მკითხველი მიხვდება, რომ ამ სადილზე მრავალი სიტყვა წარმოითქმებოდა. ყველას აღნიშვნა შორს წაგვიყვანს. ამიტომ ორ სიტყვას მივაქცევთ ყურადღებას. ერთი მათგანი ეკუთვნის **ბ-ნ კოტა აბაშიძეს**, რომელმაც ჩვეულებრივ ჩამოყალიბებულ ფორმაში ის აზრი გამოსთქვა, რომ სომეხნი და ქართველნი ისტორიულად დაკავშირებული ხალხია და თუ მათ შორის, (როგორც ეხლა), როდისმე ჩამოვარდნილა განხეთქილება, ეს ანორმალური ხანაა არსებული რეჟიმისა და ერთმანერთის ინტერესების გაუგებრობისა. ეს ხანა წარმავალია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი დაუთმობს ადგილს ამ ორ ერთა შორის სოლიდარობისა და ერთობის განმტკიცებასაო. ამ განხეთქილების მოსპობის ნიშნებიც ბევრია და, სხვათა შორის, ისიც, რომ ბ-ნი ხატისოვი ჩვენ შორს არის და ჩვენი საკულტურო დაწესებულების დასახმარებლად ეწვია დასავლეთ საქართველოს დედა-ქალაქსაო. თ-დმა აბაშიძემ მხურვალე მოწოდებით დაამთავრა სიტყვა: დაე, ყოველმა ქართველმა ხელი შეუწყოს სომეხ-ქართველთა დამოკიდებულების განმტკიცებასაო. ბოლოს სომხების კეთილდღეობის და საკულტურო აღორძინებისათვის აღამაღლა ჭიქა.

**ბ-ნმა ხატისოვმა** აღნიშნა ის გარემოება, რომ იგი საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისათანავე სომხურ კულტურულ საქმესა და ლიტერატურაში ჩაება. თუმცა ვგრძნობდი დიდ საჭიროებას, რომ მეზობელ ქართველთა ჭირ-ვარამს გავცნობოდი, ვინაიდან ჩვენი ჭირი და ლხინი საერთო უნდა ყოფილიყოვო. განვლო ხანმა. დროთა ვითარებამ ჩემ წინ გადაშალა სამუნიციპალო ასპარეზი; აქ ამირჩიეს გამგეობის წევრად. დავრწმუნდი, რომ სამუნიციპალო მოღვაწე ისეთ ქალაქში, როგორიც ტფილისია, ვალდებულია ანგარიში გაუწიოს არა ერთი რომელიმე ეროვნების ინტერესებს, არამედ ქალაქის ყველა ეროვნებათა დემოკრატიულ ნაწილის ინტერესებს. ეს ჩემი რწმენა უფრო განამტკიცა განსვენებულ თ-დ. ჩერქეზიშვილთან თანამშრომლობამ. ასეთი პროგრამა ქალაქის მოღვაწისათვის მიმაჩნია ერთად ერთ გზად და მას არც გადავუხვევ.

კერძოდ ქუთაისზე, ბ-მა ხატისოვმა აღნიშნა: ქუთაისის ბუნებრივი სილამაზე და სიმდიდრე, მაგრამ მოუწყობლობაც.. იმედი გამოსთქვა, რომ ქალაქის მოღვაწენი ამ სიმდიდრეს გამოიყენებენ ქუთაისის მოსაწყობად. ამის მომასწავებლად დაასახელა ის გარემოება, რომ ქალაქის გამგეობა და მასთან საბჭოც სესხით ჰფიქრობს სამუნიციპალო საქმეთა განხორციელებას. რა ვუყოთ, რომ ექვსი ხმოსანი სესხის აღების წინააღმდეგი იყო. ასეთი მოღვაწენიც საჭირონი არიან, როცა სესხის განაღდებასა და მის მოხმარებას შეუდგებითო.

ბ-ნი ხატისოვის სიტყვის სრული გადმოცემა ძნელია გაზეთის ფურცელზე. ამიტომ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი ჩვეულებრივის მჭერმეტყველობითა და მხურვალებით იყო წარმოთქმული და მსმენელებზედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

შვიდმა საათმა დაჰკრა —საპატიო სტუმართა წასვლის დროც მოახლოვდა. ბ-მა **გრ. გველესიანმა** აღნიშნა დიდი მნიშვნელობა ქალაქის მოღვაწეთა კრებებისა და სურვილი გამოსთქვა ამ გვარი კრებების განმეორებისა, რაზედაც ბ-მა ხატისოვმა უპასუხა რომ 1918 წ. ასეთი კრება მოხდება უფრო ფართე პროგრამით, ვიდრე წრეულს გაზაფხულზე იყოვო.

ქალაქის თავმა ბ-ნმა **ალ. ჩიქოვანმა**, სუფრის მამასახლისმა, რეზიუმე გაუკეთა სუფრაზე წარმოთქმულ სიტყვებს, აღნიშნა ქალაქის მოღვაწეთა დაახლოვების მნიშვნელობა და კერძოდ ბ-ნ ხატისოვის მოსვლისა ქუთაისში, მადლობა გადაუხადა მას დარბაზობისთვის და იმედი გამოსთქვა, რომ იგი პირველია, მაგრამ უკანასკნელი არ იქნება.

შემდეგ ამისა ხალხი დაიშალა.

ამავე დღეს ბ-მა ხატისოვმა თავის მეუღლითურთ დაათვალიერა გელათისა და მოწამეთის მონასტრები, რომელთაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მათზე.

## ახალი ნაბიჯი ფრენის საქმეში

ამ ჟამად ფრენის საქმეში დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს ძმ. რაიტების ახალი გამოკვლევა, რომელსაც ჩრდილო-ამერიკის ერთ მივარდნილ კუთხეში ახდენენ, ზღვის პირად, ჩრდილო კაროლინაში, რაიტების ყურადღებას იპყრობს „სრიალით ფრენა“.

როგორც ჟურნალ-გაზეთები გადმოგვცემენ, ძმ. რაიტებს ზედმიწევნით შეუსწავლიათ მტაცებელ ფრინველთა ფრენა. ამ ფრინველებს, როგორც ვიცით, ერთგვარი ფრენაც შეუძლიანთ, ფრენა სრიალით, როგორც იტყვიან, ე. ი. ფრთების აუმოძრავებლად, ფრთა-გაშლით ფრენა. ცხადია, ასეთ ფრენის დროს ფრინველები სარგებლობენ პირ-ქარით.

შესწავლას ის შედეგი მოჰყვა, რომ რაიტებმა ძლიერ თვალსაჩინო ცვლილება შეიტანეს თავის პირველ ჰაეროპლანის კონსტრუქციაში. გამოიგონეს ისეთი უმატორო საფრენი, რომლითაც ჰაერში ფრენა შეიძლება პირქარის შემწეობით. ამნაირად ქარი, ეს მფრინავთა სასტიკი მტერი, მათს დამხმარედ იქცევა.

ძმ. რაიტები ძლიერს ქარშიაც ადიან და ჰფრენენ, ჯერ 10 წამს და სურვილისამებრ შეუძლიანთ დარჩნენ ჩაერში უმოძრაოდ, როგორც იციან არწივმა, შავარდენმა, ქორმა და სხვ. ასეთ მდგომარეობაში რაიტებს შეუძლიანთ ჰაერში გაჩერდნენ 1 წამს და 15 წუთს (პირველი რეკორდია დედა-მიწის ზურგზე).

რაიტების ცდას და ახალ გამოგონილ კონსტრუქციას ძირითადი ცვლილება შეაქვს ფრენის საქმეში. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამ ნაბიჯით ახალი ხანა იწყება.

ამნაირად ახლო მომავალში მოსალოდნელია და შესაძლებელიც გახდება უვნებლად ფრენა და ჰაერში გაჩერებაც, მფრინავის სურვილით, რაც თანამედროვე ავიაციაში შეუძლებელია და მიუწვდომელადაც ითვლება: ყოველგვარ გაჩერების (ე. ი. თუ მატორი არ მოძრაობს და პროპელერი გაჩერებულია) შედეგათ საშინელი უბედურება მოსდევს. ახალ გამოგონილ სისტემას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც კულტურულ ისე სტრატეგიულ საქმეში.

**სტუდ.-ტეხნოლ. შ. ჯაში.**

## ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ნაბიჯი კახეთში

თუ როგორ პრიმიტიულია კახეთში მეურნეობა, ამაზე ლაპარაკი მეტია, მეტია იმაზე წერა, როგორი იარაღით ამუშავებს კახელი გლეხი დღეს დედამიწას, რამდენი შრომა და ჯაფა იხარჯება მაშინ, როცა გაუმჯობესებული ტეხნიკის საშუალებით შესაძლებელი იყო განახლებულიყო ეს, მაშინ მუშა-ხელი შრომაც ნაკლები მოუნდებოდა და მოსავალსაც მეტს მიიღებდა; მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმ საშინელ სენთან, რომელიც გარს შემოერტყა კახეთს და დღითი-დღე მთელ მის საცხოვრებლის უმთავრეს წყაროს—ვენახებს მოსპობას უქადის ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველად კი კახეთი არა თუ მზადაა, არამედ ზომები არაფერი აქვს მიღებული და არცა ფიქრობს მის დახვედრას. რაც შეეხება ნაწარმოების განაღდებას, უგზოობით, უბაზრობით, უკოდინარობითა და უხელმძღვანელობით შრომის ფასსაც ვერ იღებს; ჭირნახული თითონ ძვირად უჯდება და იაფად ჰყიდის. ეს მათემატიკურად დამტკიცებულია.

სწორედ რომ დროზე დაარსდა ქართული სამეურნეო საზოგადოება, რომელსაც შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს მთელ კახეთს.

13 ნოემბერს ამ საზოგადოების ინსტრუქტორმა აგრონომმა საყვარელიძემ თავად აზნ. წინამძღოლის კანცელარიაში—თელავში, ამ საქმის შესახებ მოწვეულთ თელავის და მის მახლობელ სოფლის მემამულეთ (რომელთა რიცხვი, საუბედუროდ, მცირე იყო) გააცნო ამ საზოგადოების დაარსების მიზანი, მისი მოქმედების გეგმა, რომელშიაც შედის: საცდელი მინდვრების დაარსება, ამერიკულ ვაზის სანერგეების გაშენება, ლექციების მოწყობა სოფლად, მცხოვრებთა რჩევა დარიგების მიცემა, მანქანების და თესლეულობის გამოწერა და სხვ. ბოლოს ბ-ნმა საყვარელიძემ სთხოვა ამოერჩიათ ბიურო, რომელიც აღმასრულებელ ორგანოს ფუნქციებს შეასრულებდა.

არჩევნებში ცოტა აჩქარდნენ. ამოირჩიეს კახეთის (თელავის მაზრა) ბიურო 15 კაცისაგან შემდგარი, ამათგან ბევრი შორ სოფლის მაცხოვრებელია, რომელიც კრებაზე ძნელად დაესწრობა და ასეთი მრავალ-რიცხოვანი ბიუროს მოქმედება გართულდება და გაძნელდება მათი თავმოყრა. მით უმეტეს, ბიუროში ბევრი ისეთი პირია, რომელნიც სოფლის ბიუროში უნდა შევიდნენ წევრად და უხელმძღვანელონ საქმეში. სოფლის ბიუროებს კი მეტი მნიშვნელობა აქვს, მეტი ყურადღებაც უნდა მიექცეს, რომ სწორედ ამ სოფელში განხორციელდეს საზოგადოების მიზანი.

ამორჩეულ ბიუროს წევრთა კრება 20 ნოემბრისთვის დანიშნეს, შემდეგ-კი განზრახულია კახეთში რაიონულ (ორ-სამ სოფელში) ბიუროების დაარსება, რომელიც იქნება სული და გული საზოგადოების მოქმედებისა.

ვუსურვებთ ამ ნორჩ საზოგადოებას ნაყოფიერად გადაედგას პირველი ნაბიჯი და წარმატებით მსვლელობას კახეთის სასარგებლოთ და მის დაქვეითებულ მცხოვრებთა საკეთილდღეოთ.

**გ. პაატაშვილი.**

## ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები

16 ნოემბერი.

**შანჰაი.** ნანკინიდან იუწყებიან, თუმცა ქალაქში რევოლუციონერები ჰბატონობენ, მაგრამ ჯერ ჰთლად ვერ აუღიათ, შანჰაის თოფხანიდან აჯანყებულებმა ნანკინში რამდენიმე დიდი ზარბაზანი გაჰგზავნეს. ამბობენ, ქანიანი მთავრობის ჯარმა აიღოთ, უჩანიც დაჰმორჩილდა. აქაური მცხოვრებნი შიშსა და ძრწოლაში არიან.

**მუკდენი.** ვიცე-კოროლის და თავდაცვის კომიტეტის ურთიერთობა გამწვავდა. ვიცე კოროლი სცდილობს მთავრობის აღდგენასა და ავტონომიის გაუქმებას. შეიძლება ამის გულისთვის იგი გადააყენონ. ხმა გავრცელდა, მონგოლეთში ჩინელთა საწინააღმდეგო მოძრაობააო. ჩინელთა აწიოკებისა ეფიქრებათ.

**ხაიგონი.** იუნანფუს მიდამოებში ერთი მისიონერი და 8 ქრისტიანი მოჰკლეს.

**პეკინი.** გამოირკვა, რომ უჩანის რევოლუციონერებს მოლაპარაკება ჰქონიათ სამი დღის ზავის ჩამოგდების თაობაზე. ხენანის პროვინციის საკრებულომ იუანშიკაის დეპეშით აცნობა, მთელ პროვინციას რესპუბლიკა ჰსურსო. ტაიუანფუს ყველა მოწაფე რევოლუციონერთა რაზმში ჩაეწერა. შანსის მთავრობა რევოლუციონერების დასახმარებლად ემზადება. ამბობენ, გენერალი ჩაჟანუსი, ნანკინის დამცველი, ფეხში ყუმბარით დასჭრეს, თელიანი კი გაიქცაო.

### გაზეთებიდან.

**სუნიატსენი.**

„რუსკოე სლოვოს“ პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: ლონდონიდან საიდუმლოდ ჩინეთის რევოლუციონერთა მეთაური სუნიატსენმა პარიზს მოვიდა. სუნიატსენი ცოტა ხანს პარიზში დაჰყო, მერე მარსელს გაემგზავრა, საიდანაც ზღვით თავის სამშობლოში გაემართება.

კორესპონდენტს ულაპარაკნია ახალგაზდა ჩინელთა მეთაურთან, რომელსაც შემდეგი უთქვამს: მე ჩინეთს გიახლებით და იმედი მაქვს, ჩქარა პეკინში გავჩნდები. თავის დღეში დინასტიასა და იუანშიკაისთან მოლაპარაკებას არ გავმართავ. ტყუილია, ვითომც პრემიერ-მინისტრის თანამდებობას მთავაზობდნენ: ამისთანა თანამდებობის მიღება შემიძლიან მხოლოდ ეროვნულ კრების გადაწყვეტილებით, ხალხის სურვილებისამებრ. რევოლუცია იმაზე ადრე დაიწყო, ვიდრე მეთაურნი მოელოდნენ. როცა რევოლუციონერები დარწმუნდნენ, დინასტიასთან ბრძოლაში ჯარი დაგვეხმარებაო, იარაღს ხელი მოჰკიდეს. თან მიმაქვს კონსტიტუციის პროექტი, რასაც ეროვნულ კრებას წარვუდგენ. კონსტიტუციურ მონარქიის შესახებ ლაპარაკიც მეტია. ერთად-ერთი შესაძლებელი ფორმა სახელმწიფოებრივ მმართველობისა,—ჩვენში რესპუბლიკაა, იმედი მაქვს; ჩინეთში ჩემს მისვლამდე რევოლუცია გაიმარჯვებს და დინასტისა და იუანშიკაის თავიდან მოიშორებს. შემდეგ სუნიატსენმა ბოდიში მოიხადა, მეჩქარება მატარებელს უნდა მივასწროო.

პარიზში ყოფნისას სუნიატსენს საფრანგეთის პარლამენტის მოღვაწენი უნახავს და უთხოვნია, საფრანგეთი ეცადოს და სხვა სახელმწიფოებს ნება არ მისცეს ჩინეთის რევოლუციაში ჩარევისაო. იგი არწმუნებდა, შუაგულის რესპუბლიკა სახელმწიფოთა ინტერესებს დაიცავს და ნებას არავის მისცემს ევროპიელთა საწინააღმდეგო რამ მოიქმედოსო.

**რევოლუციონერთა დამარცხება.**

ხანკოუდან ბრიუსელში დეპეშით უცნობებიათ, მთავრობის ჯარს რამ-

---

ჩემსა:. და:. მსახურებელთა:. შენთა:. სახლეულთა:. ჩემთა:. და:. შეიწირე მცირე შესაწირავი ესე მიქელ ძამოევი ჩუკე წელსა“.

გარდა ჩამოთვლილ ნივთებისა ეკლესიის „სალაროში“ ინახებოდნენ ეგრედ წოდებული „დადიანური“ და ოთხი ხელთ-ნაწერი ხუცური წიგნები, რომლებიც მე გამოვთხოვე ეკლესიის დეკანოზს და გადავეცი შემდეგ ტფილისის ქართულ საეკლესიო-საარქეოლოგიო მუზეუმის ზედამხედველს ბ. მ. გ. ჯანაშვილს, სადაც დღეს ინახებიან. „დადიანური“ ფრიად ორიგინალური ნივთია და ამასთან ძლიან იშვიათად ხმარებული საქართველოში, ასე რომ მეტი არ იქნებოდა ორიოდე სიტყვით გადმოგვეცა მისი მოწყობილობა და მნიშვნელობა. რამდენად იშვიათი მოვლენაა „დადიანური“ იქიდგანა ჩანს, რომ მთელ ქართლში, თუ არა ვსცდებით, მხოლოდ სამია ცნობილი: ერთაწმინდის, გორი-ჯვრის და ვერისთვის ეკლესიებისა. ერთა-წმინდის ეკლესიის „დადიანური“ წარმოადგენს მსხვილს და მოკლე ჯაჭვს ერთს ბოლოზე სხვილი რკინისვე პალოთი და მეორეზე განიერი საყელური თავის დასაკეტებით (აგრეთვე რკინისები). წონით ორი ფუთია, მაგრამ წინად მეტი უწონია, ვინაიდგან ბებერ მნათისა და ღვდლის გადმოცემით მას დღეს რამდენიმე ჯაჭვის რგოლები ჰკლებია. და აი ამ სიმძიმეს თურმე უწინდელი ხალხი თავისუფლად ატარებდა, კაცი თუ ქალი. როგორც ქვევით მოყვანილ შემთხვევებიდან დავინახავთ. ამითვე თურმე აბამდნენ სულით ავადმყოფს. როცა ვკითხე მნათეს, რისთვის არის „დადიანური“ მეთქი, მან მიპასუხა: „ამით გიჟებს აბამდნენ ხოლმე უწინ“-ო. ამ „დადიანურს“ თავისი პატარა გამოსაბმელი ადგილიც ჰქონია მიშენებული ეკლესიის კედელში. აქ სამხრეთის კედელში განსაკუთრებით „დადიანურისთვის“ დატანებულია ცარიელი ადგილი მკლავის სისხოსი. სულით ავადმყოფს გაუყოფინებდნენ კისერს საყელურში და უკანასკნელს დაჰკეტავდნენ. შემდეგ ჯერ დიდ ეკლესიას შემოატარებდნენ კისერზე ჯაჭვჩამოკიდებულს სამჯერ, მერე მოიყვანდნენ პატარა ეკლესიის კედელთან და ჯაჭვს გაატარებდნენ კედლის ზემოთ მოხსენებულ ცარიელა ადგილში და პალოს ჩაუყრიდნენ ვეებერთელა რკინის რგოლში. ამრიგად აბამდნენ და ავადმყოფი კედელს გარედ რჩებოდა. ება ასე რამდენიმე ხანი—ეს იმაზე იყო დამოკიდებული თუ, რამდენი ხნობითაც ჰქონდათ პატრონებს შეთქმული, მაგრამ არა ნაკლებ ერთი დღე-ღამესი. ერთა-წმინდის „დადიანური“ ძალიან განთქმული ყოფილა და არა თუ მარტო ქართლში, მის გარეთაც კი. მისი „გამკურნავი თვისება“ ხალხს, რასაკვირველია, სწამდა. ასე, მაგ., შეხირებაში, თუ ერთმა მეორეს რამე შეუსაბამო უთხრა, მაშინ ნაწყენი ეტყვის პირველს: „შენ თუ თავში გწევენ, წმ. ესტატეს დადიანური დაიკიდე“-ო. „დადიანურის“ გავლენას ქართლს გარედ მოწმობს შემდეგი შემთხვევა, რომელიც მნათემ გადმოგვცა. კახეთიდან მოუყვანიათ სულით ავადმყოფი და „დადიანურით“ დაუბამთ. ავადმყოფს გაუწევია ძალზე, გაუნგრევია კედელი, გაქცეულა და თან გაუთრევია „დადიანური“. ასე უვლია საცოდავს ალმასის წყლამდინ (მცხეთის ახლოს არის და ერთაწმინდიდან იქამდინ კიდევაც იქნება ორმოცი ვერსი) და იქ „დადიანურს“ დაუცვია, საიდანაც ორივენი უკან ურმით ამოუტანიათ, მაგრამ გარდა ავადმყოფობისა მას სადი ჭკუისანებიც ატარებდნენ. ადგილობრივ ვინმე აზნაურიშვილის ქვრივს ჯავრიშვილისას შეთქმული ჰქონოდა, რომ შვიდი წლის განმავლობაში უნდა ეტარებინოს „დადიანური“ მუდამ შაბათ-კვირაძალზე დიდი ეკლესიის გარშემო სამჯერ შემოვლით და მას ეს შეთქმა წმინდად აუსრულებია. შემდეგ „დადიანურის“ ხმარება თანდათან ჩვეულებიდან გადავარდნილა და ბოლოს ეგზარხოსს იოანნიკეს, როცა მას ეკლესიის დათვალიერების დროს უნახავს დაბმული ავადმყოფი როგორ თურმე გმინავდა (ალბათ სიმწრით თუ), სრულიად აუკრძალავს მისი ტარება. საიდან, როდის და ვისგან იყო აღწერილი „დადიანური“ შემოწირული ანუ მოტანილი ერთა-წმინდაში, სამწუხაროდ, მიუხედავად ბევრი გამოკითხვისა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, ვერა გავიგეთ რა. ეჭვს გარეშე არ არის, რომ როგორც ერთა-წმინდისა, ისე გორი-ჯვრის და ვერისთვის „დადიანურები“ ერთის პირისაგან და ერთს დროში უნდა იყვეს შემოღებული ანუ შეწირული. ზოგთა გადმოცემით ვითომ მეფე დადიანს შემოეღოს და ამიტომაც ჰქვიან „დადიანური“-ო; ხალხური წარმოდგენა კიდევ უკავშირებს ჩვენში „დადიანურების“ შემოღებას თვით წმ. ევსტათის ცხოვრებაში მომხდარ იმ შემთხვევას, რომ რაკი ევსტათიმ კერპთ თაყვანის მცემლობას უღალატა და ქრისტე აღვიარა, რომის მეფემ ბევრნაირი წვალება მიაყენა და წამების სხვა საშვალებათა შორის ამისთანა ჯაჭვიც იხმარაო. მაგრამ წმიდანის ცხოვრების აღწერა სრულიადაც არ იხსენიებს ამისთანა შემთხვევას, ასე რომ გაუგებარია, საიდგანა აქვს ხალხურ წარმოდგენას მასალად აღებული მოყვანილი შემთხვევა. ზოგთა ახსნით-კი სახელი „დადიანური“ წარმოსდგება სიტყვა „დადება“-საგან.

ერთა-წმინდის ეკლესიას ძველის დროიდანვე გარს რტყმია ორი გალავანი: შიგნითი და გარეთი. ამათგან პირველი დღეს სულ აღარ არსებობს და მხოლოდ აქა იქ მისი კვალი-ღა სჩანს; გარეთი გალავანი-კი, რომელშიაც ოთხივ-კუთხივ დაყოლილია კოშკები, დღეს ნახევრად გადანგრეულია. უწინ იმდენად მაღალი კედლები ჰქონია ამ გალავანს, რომ გარედან მარტო ეკლესიის გუმბათი თურმე ჩანდა. მაგრამ ერთხელ ეკლესიას სწვევია ეგზარხოსი ევსევი, და მას გადაუნგრევინებია იმ მოსაზრებით, რომ მეტის-მეტი სიმაღლე ჰფარავს ეკლესიას და უკარგავს შეხედულობას და მიმზიდველობით სასოებასო. ამასაც მოსაზრება არა ჰქვიან?! ამ ადგილას უბრალო გალავნები კი არა, ნამდვილი ციხე ყოფილა; ოდესღაც მტრისათვის თავზარ-დამცემი ციხე დღეს ადამიანთა შეუწყნარებელს მოსაზრებებისა გამო საბრალო ნანგრევებად გადაქცეულან და სოფლის პირუტყვიც-კი ვეღარ შეუმაგრებია, რომელიც თავისუფლად გადადის და გადმოდის მის ნანგრევებზე და ეკლესიის ეზოს სამარცხვინო მდგომარეობაში აყენებს.

ეს არის, რაც ითქმის მოკლედ ერთა-წმინდის ეკლესიის შესახებ.

აქ საინტერესოა აღვნიშნოთ შთაბეჭდილება რუს მგზავრებისა, რომლებიც მოვიდნენ ეკლესიის დასათვალიერებლად. ჩემს შეკითხვაზე, როგორ მოგწონთ მეთქი, ერთმა მათგანმა მიპასუხა: „დიახ! ჩვენ-კი სულ სხვა წარმოდგენისანი ვიყავით ქართველებზე, მაგრამ დიდებული კულტურული წარსული გქონიათო“. ჭეშმარიტად, რომ დიდებული წარსული გვაქვს! მაგრამ რა შეუნდობელი უპატივცემობით ვეკიდებით ამ დიდებულ წარსულის ნაშთებს ძეგლებს, რა შეუბრალებლად ვსთელავთ ჩვენისავე ფეხებით ჩვენს ეროვნულ სიამაყეს, პირდაპირ ძნელი გამოსათქმელია! აქ არ შეიძლება არ ვუსაყვედურო ორიოდე სიტყვით ვისაც ჯერ არს იმ უყურადღებობისათვის, რომელსაც დღეს ეს ეკლესია განიცდის. პირველი, ეკლესიის გუმბათში დაყოლილ ოთახებიდან, გადამეტებული რომ არა ვთქვათ, ოთხი ურემი მტრედის ნალოები (განავალი) მაინც ჩამოიყრება, მეორე, მის სახურავზე რამდენიმე ბულული ბალახი გაითიბება და მესამე—სახურავს ავდარში წვეთი გასდის, რასაც შიგნიდან ერთი ადგილის სინესტე უჩვენებს. ვთქვათ, ეკლესია იმდენად ღარიბია, რომ შეძლება არა აქვს თავისის ხარჯით დაზიანებულ ადგილას სახურავი შეაკეთოს, თუმცა-კი სულ ორიოდე თუმნის საქმე არ არის მისი შეკეთება და ადვილად შეიძლება ერთ კვირაში მოგროვდეს, ხომბაზე მოთავე ვინმე რომ გამოჩნდეს. ნალოების ჩამოყრა ხომ ერთი მუშის საქმეა? ბალახი ხომ სინესტეს იჭერს და ჩააქვს კედელში? ნუ თუ ამ ზედმეტს ბარგისაგან არ შეიძლება განთავისუფლდეს ტაძარი ღვთისა, ჩვენთვის სასახელო განათლებულ კაცობრიობის წინაშე და თვალ დასაყენებელი მტრისთვის. ათს საუკუნეზე მეტი განვლო ეკლესიამ მტრის ცეცხლისა და მახვილის შორის; მოაღწია „მშვიდობიან და კულტურულ აყვავების კარებამდინ“ (**до вратъ культурнаго и мирнаго преуспѣянія**); აგერ ას წელიწადზე მეტია განიცდის ეკლესია სიმშვიდეს და მტრის ცეცხლისაგან უზრუნველ-ყოფილია, მაგრამ „საკვირველნი არიან, უფალო, საქმენი შენნი“: ლამის არის სწორედ ეხლა დაგვაწვეს თავს ტაძარი. ვშიშობთ, არ დასცადოს მეტის მეტმა სიწყნარემ და ყურწაგდებამ შფოთის შეჩვეული ეკლესია. აშკარა ერთია: თუ ასეთმა უყურადღებობამ დიდხანს გასტანა, მაშინ ჩქარა ვეღირსებით იმ დროს, რომ „ეკლესია იგი გუმბათიანი ერთა-წმინდისა, თლილი ქვით ნაშენი, კეთილოვანი, საარქიმანდრიტო“ და რომელიც „კათალიკოზს ეპყრა ტახტად თავისად“ [2]) აღიგვება ქვეყნის პირისაგან. მაშინ გზავრი შეუმჩნევლად აუვლის მის ნანგრევებს და იტყვის ხელის ჩაქნევით: „არა ღირს აქ შედგომა. ოდესღაც რაღაც ყოფილა, მაგრამ აღარ არის“-ო, გაჰქრება იგი ტაძარი, სადაც ლოცვასთან ერთად ბზუოდა ქართვლის მაჟარი.

**სტ. ი. კარგარეთელი.**

(შემდეგი იქნება).

2) იხ. «საქართველოს გეოგრაფია» ვახუშტ ბატონიშვილისა.

დენიმე რაზმი კიდევ მიემატა და რევოლუციონერთა პოზიციიდან 15 ვერსის მანძილზე მდინარე ქანი გასცურეს. გარიჟრაჟზე ისინი ქანიანსა და უჩანის პოზიციებს დაეცნენ. რევოლუციონერები ბრძოლას არ მოელოდნენ და გაიქცნენ. მთავრობის ჯარმა რევოლუციონერებს რამდენიმე ზარბაზანი წაართვა. რევოლუციონერებმა საღამოზე ხუთჯერა სცადეს დაკარგულ პოზიციების უკან დაბრუნება, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ეხლა ძალას იკრებენ და ჯარს აგროვებენ. რევოლუციონერთა კრეისერმა მთავრობის ჯარის პოზიციებს სროლა დაუწყო, მაგრამ ჩქარა იძულებული იყო სროლა შეეწყვიტა. უჩანგი ძლიერ დიდ მზადებაშია, ქალაქის განაპირად ყველგან ზარბაზნებია დადგმული. ჩინელნი ძრწოლაში არიან და საშინლად ეშინიათ მოსალოდნელ არეულობისა და ხოცვა-ჟლეტისა. ისინი ამის გამო სოფლებში გარბიან, რადგან ქანიანთან ურთიერთობა შესწყდა და ხმელეთიდან მას ვეღარავინ მიუდგება. ქალაქის მდგომარეობა გამწვავდა.

**ლონდონი.**

აქ ამბავი მოვიდა, კანტონის დელტასთან ჩინელმა მეკობრეებმა აფიცრები დახოცეს ინგლისის გემზე. ჩინელთა ერთ გემზედაც ყველა მგზავრი გაუძარცვიათ.

**ბერლინი.**

ჩინელთა ორი ათასი ჯარის კაცი, პეკინიდან სიანფუს უცხოელთა დამხოცველების დასასჯელად გაგზავნილი, გზაში გაჩერდნენ და წასვლაზე უარი განაცხადეს.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

**დეპეშები.**

**16 ნოემბერი.**

**ტრიპოლი.** გამოირკვა, რომ მტერი ბენგაზისაკენ წავიდა. 14 ნოემბერს მზვერავ რაზმს ძლიერი სროლა აუტეხეს. ისროდნენ ბედუინები. მტრის წინააღმდეგ მფრინავი რაზმი გაიგზავნა. გაიმართა ბრძოლა. ბედუინთა მთელი რაზმი ამოხოცეს. იტალიელებს 12 მოუკლეს, 30 დაუჭრეს.

13 ნოემბრის ბრძოლის შემდეგ ოაზისში მტრის 100 გვამი იპოვეს. ღამე იტალიელებს ბევრჯელ დაეცნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

**გაზეთებიდან.**

**სტამბოლი.**

რუსეთის ელჩს ჩარიკოვს და ავსტრიისას—პალავიჩინის პორტასთან მოლაპარაკება ჰქონდათ და იტალიასთან მორიგებას ურჩევდნენ. როგორც ხმა დადის, ოსმალეთს გადაჭრილი უარი უთქვამს.

ჰაეროპლანების შესაძენად პარიზს ჩასულან ოსმალეთის აფიცრები.

**ოსმალთა ბანაკი.**

„ტაიმსის" კორესპონდენტი ზორგი ტუნისის გზით ტრიპოლიში ოსმალთა ბანაკში მოხვდა. კორესპონდენტი იუწყება, ოსმალებმა იტალიელებს ტრიპოლის ოაზისის დიდი ნაწილი წაართვეს და ოსმალთა ხელშია: სუკ-ელ-ჯუმა, სიმაგრე ჰამიდიე, ბონმელიანა, დიდი, მუნდერი. ოსმალნი თან და თან მუხრუჭს უჭერენ იტალიელებს და ნებას არ აძლევენ, ფრთა გაშალონ. თხუთმეტი დღის წინად იტალიელებმა მოინდომეს ჰამიდიეს ზღვიდან მისდგომოდნენ. ოსმალთ დროზე მიასწრეს და გადმოსული იტალიელნი დახოცეს. ოსმალებმა განსაკუთრებული საშუალება იხმარეს და ტრიპოლიზე ნიაღვარი მიუშვეს. სანიტარულად ოსმალთა ჯარი კარგად არის მოწყობილი. ტყუილია, ვითომც ხოლერა მძვინვარებდეს. ფეტი-ბეი ცოცხალია და რაზმს მეთაურობს. უკანასკნელ ბრძოლის დროს ოსმალებმა ბევრი ტყვია-წამალი და 5 ზარბაზანი წაართვეს იტალიელებსა.

**ინგლისი და იტალია.**

გაზეთების ცნობა იყო, იტალიამ დარდანელის გარემოცვის სურვილი ინგლისის სამინისტროს აცნობაო. ეს მართალი არ არის. ამისთანა გარემოცვა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, თუ რუსეთი და ინგლისი გაარჩევს საკითხსა, ვინაიდან ეს გარემოცვა ამ ორ სახელმწიფოს ინტერესებს ძლიერ ავნებს. როდესაც იტალიამ ოსმალეთს ულტიმატუმი გაუგზავნა, ყველა სახელმწიფოს აცნობა,—ომის ფარგალი მხოლოდ ზემო აფრიკის ნაპირები იქნებაო და ინგლისმაც ამიტომ გამოაცხადა ნეიტრალიტეტი. იტალიამ თუ დარდანელის გარემოცვა გამოაცხადა ინგლისს 100 მილიონი მანეთი უნდა გადაუხადოს, ვინაიდან ინგლისის ვაჭრობის 30% დარდანელის გზით სწარმოებს.

# სპარსეთის არეულობა

**დეპეშები**

**16 ნოემბერი.**

**პეტერბურგი.** 6 ნოემბერს ურმიიდან მიმავალ კაზაკთა რაზმის აფიცერს ბიჩერიხოვს, რომელსაც ოცი კაზაკი ახლდა, ქურთები დაეცნენ. დამცემნი, ალბად, ყაჩაღები იყვნენ. რუსეთის მთავრობამ, მიიღო რა მხედველობაში ამისთანა გარემოება, მიიღო რა მხედველობაში ამისთანა გარემოებანი და სპარსეთის მთავრობის უძლურება, გადასწყვიტა, დროებით გააძლიეროს ქოის საელჩოს დამცველ რაზმის რაოდენობა.

**ოფიციალური ცნობა.** მას შემდეგ, რაც სპარსეთმა ფინანსების მოსაგვარებლად შუსტერ-მორგანი მოიწვია, რუსეთის ინტერესებს ყურადღებას აღარ აქცევდნენ და შუსტერის მოქმედება ტყუილ-უბრალო კამათსაც იწვევდა. რუსეთის აზრით, შეუძლებელია ადერბეიჯანში,—კავკასიის მოსაზღვრე ილქში,—ლეკოფის მოხელეობა, შუსტერმა კი იგი თავის აგენტად დანიშნა. ლეკოფი პირდაპირი მტერია რუსეთისა და ამ მხრივ თეირანში დიდი ხანია ყურადღება მიიქცია. უკანასკნელ უთანხმოების დროს ბ-ნმა შუსტერმა „ტაიმსში" დაბეჭდა წერილი, რითაც რუსეთის მოქმედებას სპარსეთში ჩირქი მოსცხო. შემდეგ ეს წერილი გადათარგმნინა სპარსულად და ცრუ ცნობები და ცილისწამება გაავრცელა. სპარსეთის მთავრობამ, სამწუხაროდ, დროზე ვერ მიიღო ზომები და ბ-ნი შუსტერი ვერ ალაგმა. ყველა ამის გამო რუსეთი შემდეგ ახალ მოთხოვნილებას უდგენს სპარსეთს: 1) შუსტერი და ლეკოფი უნდა დაითხოვონ. შუსტერისაგან დანიშნული სხვა მოხელეთა საკითხი მეორე მუხლის ძალით უნდა გადასწყდეს. 2) სპარსეთმა ინგლისისა და რუსეთის თეირანში მყოფ მისიის დაუკითხავად უცხოელნი არ უნდა მოიწვიოს მმართველად. 3) სპარსეთმა რუსეთს უნდა აუნაზღაუროს ეხლანდელ ექსპედიციაზე გაწეული ზარალი. თუ 48 საათის განმავლობაში რუსეთის ელჩმა, სპარსეთისაგან სასურველი პასუხი არ მიიღო, რუსის ჯარი, რომელიც ეხლა რეშტშია, ბრძანებას მიიღებს, სპარსეთის შუაგულს მიაშუროს.

უკვე ამბავი მოვიდა, რომ ელჩს 16 ნოემბერს, დილის 12 საათზე სპარსეთის მთავრობისათვის ნოტა ჩაუბარებია.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**16 ნოემბერი.**

**საზღვარ გარედ.**

**ლონდონი.** ადმირალი ბრიჯენი საადმირალოს პირველ ლორდად დანიშნა, ვიცე-ადმირალი ბატენბერგსკი—მეორე ლორდად.

**ვენა.** ნეგუშის საქმის გარჩევა დაიწყო. მან, როგორც ვიცით, დეპუტატთა პალატაში მინისტრს რევოლვერი ესროლა.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. ჩეხებმა ბიუჯეტში ზოგიერთ მოსამართლეთა დანიშვნის თაობაზე შეკითხვა შეიტანეს. იუსტიციის მინისტრმა უპასუხა. მისი პასუხის დროს ჩეხები ხმაურობდნენ და ჰყვიროდნენ. მათ მინისტრზე მიიწიეს კიდეც, მაგრამ ჯერ მანდილებმა დაიჭირეს და მინისტრს თავი გაუმართეს. სხდომა შესწყვიტეს დიდის ხმაურობის დროს ზოგიერთ გერმანელსა და ჩეხებს შუაც მოუვიდათ. მინისტრები წავიდნენ, ერთის საათის შემდეგ სხდომა გაიხსნა და სამარისებური სიჩუმე იყო. მინისტრმა სიტყვა განაგრძო და არეულობის გამომწვევი მიზეზი განმარტა.

ჩეხებს დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მინისტრის სიტყვებმა: „გერმანიის ბიუჯეტმია". იქ კი ჩეხები სცხოვრობენ. მათ შეურაცხყოფად და სამეფოის მთლიანობის დარღვევად მიიჩნიეს. გოჰენბურგერმა განაცხადა, ეს ფრაზა გავრცელებულია გერმანულ ენაზე და სრულიადაც არ მინდოდა უთანხმოება გამომეწვია მაგის წარმოთქმითაო.

**პარიზი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა საზოგადოებას განაცხადა, ვიდრე სამინისტროში მუშაობას დავიწყებდე ფესლიერი მსურს ვინახულოო. საზოგადოება პარიზს 23 ნოემბერს ჩავა.

**რ უ ს ე თ ი.**

**კიევი.** ზოგიერთ სოციალისტთა ორგანიზაციის სარევოლუციო ფრაქციის საქმის გარჩევა დაიწყო. სამართალში არიან მიცემულნი 142 მუხლ. ძალით. პასუხისგებაში მიცემულია 47 კაცი, მოწმე—150. სხვათა შორის, მათ აბრალებენ 1909 წელს ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის სიტინის დაჭრასა და მისი ასულის მოკვლას.

**პეტერბურგი** მუამდგომლობა აღძრეს, რომ აღმოსავლეთის საგარეჯოში აკადემია უმაღლეს სასწავლებლად გადაკეთდეს.

მიტროპოლიტმა ანტონმა ალექსანდრე ნეველის ძმათა და თავისის სახელით შინაგან საქმეთა მინისტრს გადასცა 10 ათასი მანეთი დამშეულთა დასახმარებლად.

**კიევი.** ჩერკასის მაზრაში პოლიციას სროლა ჰქონდა მარიანის ქარხნის დარაჯებთან. მოკლულია ერთი მონაწილე—პეტრუსი.

**ნოვოჩერკასკი.** ექიმთა სიტყვით თავად ტრუბეცკოის მკვლელი კრისტი შეშლილი ყოფილა ეხლა იგი ჯანმრთელია. სასამართლომ გადასწყვიტა კრისტის საქმე მოსპოს.

**მოსკოვი.** კოსილოვსკისამ უნივერსიტეტს სასტიპენდიო 40 ათასი მანეთი უანდერძა. შრომის ბირჟის მოროზოვის მემკვიდრეებმა 50 ათასი მანეთი შესწირეს. სახლის პატრონთა კავშირი გაუქმდა.

**ფ რ ე ნ ა**

**ვინერნეიშტადტი.** მფრინავი ნიტნერი მფრინავ მოსკასთან ერთად ტრიესტს გაფრინდა. დაშვების დროს საფრენი მიწას დაეცა. მოსკა სახიფათოდ დაშავდა. ნიტნერიც დაშავდა.

# რუსეთი

**ტოლმაჩევის „მემკვიდრეობა".** ოდესის ქალაქის თვითმართველობა ქალაქის უკვე გადაყენებულ უფროს ტოლმაჩევთან ბრძოლაში იყო გართული და სამეურნეო ნაწილი ძალიან ჩამოქვეითდა; ეხლა, როცა მასთან ბრძოლა საჭირო აღარ არის, თვითმართველობამ ყურადღება მიაქცია ტოლმაჩევისაგან „დანგრეულ" ოდესის კეთილ-დღეობის გამობრუნებას. ამ მიზნით, ტოლმაჩევის მეოხეობით დაქსაულ ხმოსანთა სხვა და სხვა ჯგუფი სცდილობს შეერთდეს და საქმე მოაწესრიგოს. პირველი საქმე—საზოგადო დაწესებულებათა „განწმენდა", სადაც ტოლმაჩევმა ისეთ ხალხს მოუყარა თავი, ვისაც დამნაშავეთა სკამზე ჯდომა უფრო შეეფერებოდათ.

მოწინავე ხმოსანთა ჯგუფი 1909 წლის საქალაქო არჩევნების განსაჩივრებასაც კი აპირებს, რადგან ძალიან დიდი უკანონობა იყო ჩადენილი. მოწმენიც კი არიან იმისა, რომ ღამე დატოვებულ საარჩევნო ყუთებიდან ტოლმაჩევის „დამქაშებს" პროგრესისტების სახელიანი ბარათები ამოუღიათ და ნაცვლად „ჭეშმარიტ რუსთა" ბარათები ჩაუგდიათ. მცოდნე პირნი „ღამის რაინდებს" პირდაპირ ასახელებენ.

ქალაქის უფროსის თანამდებობის ამასრულებელს აუარებელი თხოვნები მოსდის, ტოლმაჩევისაგან დაწესებული „უკანონობანი" მოსპეთო. ამ თხოვნებს ჯერ ყურადღებას არ აქცევენ და ქალაქის ახალ უფროსის მოსვლას ელიან („რუსკო სლოვო".)

**შიმშილობა.** პერმის გუბერნიაში შიმშილის გამო ძალიან ბევრი ავადმყოფობა გაჩნდა. განსაკუთრებით გავრცელებულია საოფლე. ასეთივე მდგომარეობაა შადრინსკისა და ეკატერინბურგის მაზრაში. შადრინსკში აურიცხველი ცხენები ჩამოჰყავთ და ჩალის ფასად ჰყიდიან. ქალაქის თვითმართველობის განკარგულებით დახოცილ ცხენებისთვის ორმოსა სთხრიან.

ორენბურგის მაზრის სოფელ მიასის საზოგადოებამ ვილაც ტრუხალევიჩს დაავალა დამშეულ ხალხისთვის 40 ვაგონ პურის ყიდვა. ტრუხალევიჩმა ეს საქმე კარნეევს ჩააბარა. შეცდომა მოუვიდათ და ფული პირდაპირ კარნეევს გაუგზავნეს. კარნეევი ადგა და ფულიანად მიიმალა და, რასაკვირველია, არაფერი გაუგზავნია სოფლელებისთვის. ამ დღეებში იგი დააპატიმრეს.

ნიკოლაევის მაზრიდან (სამ. გუბ.) ამბავი მოდის, გლეხებს ვერ აკმაყოფილებს საზოგადო სამუშაო. გაჭირებულთა სიაში თურმე ისეთი ხალხი მოჰყვა, ვისაც ყველაფერი ბლომათა აქვს და შიმშილისა სრულიად არ ეფიქრებათ. ისინი საზოგადო სამუშაოზე დაქირავებულ მუშებსა ჰგზავნიან და თითონ კი არხეინად სცხოვრობენო. ვისაც უჭირს, ცხენი არა ჰყავს, სამუშაოდ კი ცხენსა თხოულობენ. მუშაობის დროსაც კი იხოცება მშიერი საქონელი.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული საბენეფისო წარმოდგენა.** ორშაბათს, 21 ნოემბერს, ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი" ჩვენი ახალგაზრდა და ნიჭიერი მსახიობი **ნინო დავითაშვილის საბენეფისოდ.** მთავარ როლებს ასრულებენ თითონ მობენეფისე—ზეინაბს, მესხიშვილი—სულეიმანხანს, გუნია—ოთარბეგს, გაიანეს—საგინაშვილი, რუქაიას—კარგარეთელი, დათოს—იმხნელი, ირაკლის—მგალობლიშვილი, საბას—მატარაძე და სხვანი.

# წერილი რედ. მიმართ

დიდად პატივცემულო

ბ-ნ რედაქტორო!

„სახალხო გაზეთის" 449 №-ში ბ-ნი ი. გოგებაშვილი თავის „ანტი-პედაგოგიურ ჯიუტობაში" ცილსა გვწამებს ჩვენ—ვითომც ის სტატია „პედაგოგიური ქირვეულობა", რომელიც „პედაგოგის" ფსევდონიმით დასტამბული იყო პატივცემულ „კოლხიდაში" ჩვენ, „გუთნის" შემდგენელთ გვეკუთნოდეს, და ამის გამო ცუდად გვიხსენიებს. ამაზე ჯეროვან პასუხს მალე გავსცემთ ბ-ნ გოგებაშვილს. ხოლო ახლა უმორჩილესად გთხოვთ—გამოაცხადოთ, რომ სტატია „პედაგოგიური ქირვეულობა" არც ერთს „გუთნის" შემდგენელს არ ეკუთნის*).

უმორჩილესად ვთხოვთ „სახალხო გაზეთის" რედაქციას—გადაბეჭდოს ეს ჩვენი წერილი.

„გუთნის" შემდგენელნი.

*) რედაქცია ამოწმებს, რომ აღნიშნული წერილი „გუთნის" შემდგენელთ არ ეკუთნის. „კოლხიდა"

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა**

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის:**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავ. მატარებ. № 7, II—III კლ. ხაღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატარ. N 5 I—III კლას. ხაღ. 5 ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 ს. 26 წ. 3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატარ N 2 I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ. 2) სამგზ. მატარ. № 6, I—II კლ. ღღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ 7 ს. 34 წ. ბაქოში 8 ს. 11 წ. 3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში ღღ 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ. 4) შერეულ. მატარ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5, ს. 58 წ. ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარ. N 9/66, I—III კლ. ღღ 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. N 74/75, I—III კლას. ხაღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის ხაღ. 11 ს. 10წ. 2) სამგზ.-საქონლ. მატარ. N 78—79, II—III კლ. ღღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილ. 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან:** 1) სამგზავ. N 6, I—III კლ. 2 ს. 50 წ. საფოსტ. N 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ., 3) სამგზ. N 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. N 5, I—III კლ. ხაღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტო N 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი N 1, I—III კლას. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული N 107. IV—III კლ. ღამ. 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** 1) საფოსტო N 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ., 2) სამგზ.-საქონლ. N 80/81, II და III კლ. ღღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო № 61/10, I—III კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ზოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).


# განცხადებანი

**№ 4711**

სქელი პუდრა!!

კანს ზავერდისავით ანაზებს და ალამაზებს

ფერდ. მიულჰენსი პარფიუმერია N 4711

კოლოფი 25 კაპ. მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.




Метцль 352438 352158

(9—1538—3)

**აგენტი**

**მ. ა. გაჩონია**

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ აგენტებად ლ. ე მეტცლისა და ამხ. და საქციონერო საზოგ. „ანონსის" რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი", კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ნ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ფ. ნ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღლიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერმანი:** 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და ს. ბავშვთ.

**ბ. გ. ბეგასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერმანი:** 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**მ. გ. აგეტიხიანცი:** 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ნ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—185)

# გამოცდილი მასწავლებელი

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებადეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, (около памяти. Воронцову), спросить учителя.

(т. 1084.23)

# სამშობიარო თავშესაფარი

# მ. ი. კრემერ

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და საბებიო საქმისათვის. გასინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უცრის ყოველ დღე ნაშუადღევს 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა.

(25—913—13) ი. გ. კალამკარიანი.

# გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა: წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", ფ. 75 კ.
" " წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივება". . . ფ. 80 კ.
" " წ. III. „ნააზრევი" . . . . . . . ფ. 65 კ.
" " წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1902 წ. . . . . . ფ. 85 კ.
B a t o n-ისა: „ერი და კაცობრიობა" . . . . . ფ. 1 მ. 20 კ.
გ. ყიფიანისა: «სამეგრელოს მთავარი ლევან», ისტ. დრამა ფ. 40 კ.
ნ. შიუკაშვილისა: «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

საქციონერო საზოგადოება

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია".

(დაარსებული 1860 წ.).

იზმაილოვის პროსპ., № 27.

პარიზის 1900 წ. ოქროს მედალი.

# სატუალეტო ძმარი

ამ ძმარის მრავალ-გვარმა კოსმეტიურმა თვისებებმა ტუალეტის უსაჭიროესი ალაგი დაიჭირა.

მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(12—1291—6)